



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31203271  
თარიღი: 22/11/2020

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საკრებულოს წევრის, ამირან გიგინეიშვილის

სამსახურეობრივი ბარათი

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის, "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, როგორც საკრებულოს წევრი, საკრებულოზე განსახილველად და განკარგულების სახით მისაღებად წარმოგიდგინთ სტრატეგიის დოკუმენტის პროექტს, "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისთვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით".

დანართი 1: სტრატეგია

დანართი 2: განხორციელების გეგმა

გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში.

პატივისცემით

ამირან გიგინეიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

*სტრატეგიის დოკუმენტი  
ლანჩუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო  
გეგმის განხორციელების ხელშეწყობისთვის, ელექტრონული სერვისების  
განვითარების მიმართულებით  
2020 წლის დეკემბერი - 2021 წლის სექტემბერი*

ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისთვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე:	ამირან გიგინეიშვილი (საკრებულოს წევრი)
მდივანი:	ელიკო იმნაძე (მერიის განყოფილების გამგე)
	ალექსანდრე მახათაძე (საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე)
	იოსებ ჩხაიძე (საკრებულოს წევრი)
	ეკატერინე გუჯაბიძე (მერის მოადგილე)
	მაია აფხაზავა (მერიის განყოფილების გამგე)
	თორნიკე ჯიჯიეშვილი (ჟურნალისტი, გაზეთი „ჰო და არა“)
	მაია კუპატაძე (საკრებულოს აპარატის თანამშრომელი)
	მერაბ ჩხაიძე (პარლამენტის ყოფილი წევრი)
	ქეთი წილოსანი (საზოგადოებრივი აქტივისტი)
	დარეჯან ბურჭულაძე ((საზოგადოებრივი აქტივისტი)
	ეთერ ჭყონია (ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი)
	მაკა გოგიჩაიშვილი (პარლამენტის წევრის ბიუროს უფროსი)

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის პროექტის, „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



## შინაარსი

1. შესავალი -----	4
2. გარემოს სკანირება -----	5
2.1. საჭიროებათა კვლევის რაოდენობრივი კომპონენტი -----	5
2.2. ჩაღრმავებული ინტერვიუები ექსპერტებთან -----	5
2.3. ფოკუს ჯგუფები -----	6
3. მრავალფუნქციური კვლევების დასკვნები -----	6
3.1. გამჭვირვალობა -----	6
3.2. ეფექტიანობა -----	7
3.3. ინკლუზიურობა -----	7
4. შემუშავებული რეკომენდაციები -----	8
4.1. გამჭვირვალობა -----	8
4.2. ეფექტიანობა -----	8
4.3. ინკლუზიურობა -----	9
5. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT-ანალიზი)-	10
6. პერსპექტიული ხედვა 2021 წლისთვის -----	11
7. სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები სოფელ გრიგოლეთისთვის -----	12

# 1. შესავალი

ჩვენი ქვეყნის ღია, ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ინკლუზიური, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნა ჩვენი ქვეყნის განვითარების მიმდინარე ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით. ამ საკითხებს ეხება არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი თუ სამოქმედო გეგმა. მათ შორის ღია მმართველობის საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგი 2017-2020, მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი. სწორედ აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020. დოკუმენტი მიზნად ისახავს ყოვლისმომცველი კონცეპტუალური ჩარჩოსა და მექანიზმების შექმნას 2020 წლამდე, “რომელიც მიმართული იქნება გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, პასუხისმგებელი და ეფექტური სახელმწიფო მართვისკენ, დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს და იქნება ევროპულ სტანდარტებთან მისადაგებული”.

მთავრობამ 2019 წლის ივნისში დაამტკიცა საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ახალი სამოქმედო გეგმა 2019-2020, რომლის მიზანია საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ით დადგენილი მიზნების განხორციელება. საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი ექვს მიმართულებას ეხება: პოლიტიკის დაგეგმვა, საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება, მომსახურების მიწოდება, საჯარო ფინანსების მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა. სამოქმედო გეგმა გზამკვლევის ექვსივე მიმართულებას ფარავს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მმართველობის განვითარებისა და მენეჯმენტის მხარდაჭერის ინიციატივის (SIGMA) 2018 წლის შეფასებით, საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოსახლეობასთან საჯარო კონსულტაციების შეფასების კომპონენტში საქართველომ 0 ქულა მიიღო. SIGMA-ს შეფასებით საქართველოში საჯარო მმართველობის მოცემული მიმართულებით მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს. კერძოდ, არ არის შემუშავებული სისტემური და სავალდებულო მიდგომა პოლიტიკის შემუშავების პროცესში ეფექტიანი კონსულტაციების ჩატარების, მოსახლეობის ფართო ფენების, კერძოდ კი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსახლეობის საჭიროებათა იდენტიფიცირების უზრუნველსაყოფად, არსებული რეგულაციები კი, უკეთეს შემთხვევაში, მოიცავენ მხოლოდ ზოგად და არასავალდებულო პირობებს. დაბალი შეფასება აქვს საქართველოს საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის (IBP) შეფასების იმ კრიტერიუმშიც, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას ეხება - 3 ქულა მაქსიმალური 100 ქულიდან, იმ ბიუჯეტის შემუშავებაში, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე უნდა იყოს ორიენტირებული.

PAR-ის ახალ 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის** მიმართულებით, გათვალისწინებულია ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის

გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის თვალსაზრისით საჭიროებები საზოგადოების ყველა ფენას გააჩნია. სწორედ ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ადგილობრივი ხელისუფლების ეფერქტურობის გასაზრდელად შემუშავდა აქ წარმოდგენილი სტრატეგია.

## 2. გარემოს სკანირება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წლის, მარტი - მაისის პერიოდში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და მიზნისა და ამოცანების დასახვის უზრუნველსაყოფად განხორციელდა საჯარო მმართველობის რეფორმის არსებული მდგომარეობის მრავლფუნქციური კვლევა.

### 2.1. საჭიროებათა კვლევის რაოდენობრივი კომპონენტი

კვლევა ჩატარდა სამიზნე ჯგუფზე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე. შესაბამისად, კვლევის გეოგრაფიულ არეალს წარმოადგენდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. შერჩევის ერთეულები - შერჩევის ერთეული იყო ოჯახი. გამომდინარე აქედან, ონლაინ გამოკითხვაში მიწვეული იყვნენ რესპოდენტები არაუმეტეს ოჯახიდან ერთისა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2010 წლის მონაცემებით შეადგენს 10 031 ოჯახს. შესაძლებელი გახდა გამოკითხული ყოფილიყო 150 რესპოდენტი, რაც ოჯახების რაოდენობიდან (10031 ოჯახი) გამომდინარე შეადგენს 1,5%-ს. რაც შერჩევის სწორი მეთოდით კვლევის პირობებში 3,5% ცდომილებას იძლევა.

### 2.2. ჩაღრმავებული ინტერვიუები ექსპერტებთან

პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ იქნა შემუშავებული სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარი, რომელიც შეფასების 18 სხვადასხვა საწყის კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა. პანდემიის შედეგად შექმნილი პირდაპირი კომუნიკაციის პრობლემის გამო ყველა, ოთხივე ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. რესპოდენტთა შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა, რესპოდენტთა კომპეტენცია, დასაქმების არეალი.

### 2.3. ფოკუს ჯგუფები

ჯგუფებს ფასილიტაციას უწევდნენ ლანჩუთის საინფორმაციო ცენტრისა და საქართველოს სასოფლო დარბაზის წარმომადგენლები.

პირველ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა 6 მონაწილე: მიმღები მშობელი, მარტოხელა დედა, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი წევრი, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი, მეწარმე, პენსიონერი

მეორე ფოკუს ჯგუფის შემადგენლობა: 2 შშმ პირი, მრავალშვილიანი დედა, დროებით უმუშევარი მამაკაცი, სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი, სულ 5 მონაწილე

მესამე ფოკუს ჯგუფის წევრები: საბიუჯეტო ორგანიზაციის ორი თანამშრომელი, სამშენებლო სფეროს წარმომადგენელი, დიასახლისი და სოციალურად დაუცველი. სულ 5 მონაწილე.

მეოთხე ფოკუს ჯგუფის შემადგენლობა: სოფელში მცხოვრები მოსამსახურე ქალი, საკრებულოს ყოფილი წევრი, მასწავლებელი, ა/ო „თვითდახმარების ჯგუფის“ წევრი და მრავალშვილიანი მშობელი. სულ 5 მონაწილე.

### 3. მრავალფუნქციური კვლევების დასკვნები

#### 3.1. გამჭვირვალობა

- გამომდინარე რაოდენობრივი კვლევის დაბალი ცდომილებიდან, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის ნახევარს წარმოდგენა არა აქვს საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ
- რეფორმის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში უმთავრეს როლს თამაშობს არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები
- არა ინფორმირების გამო მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არ იცის გააუმჯობესებს თუ არა რეფორმა მუნიციპალურ სერვისებს, ან არ სჯერა ამის
- ინფორმირებული მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების შესახებ უმრავლესობაა.
- ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები მუნიციპალური ვებ და სოციალური ქსელი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებია
- ძირითადად ელექტრონული მომსახურებას იყენებენ ონლაინ განცხადებების საძიებლად და შესავსებად, ასევე ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის მისაღებად
- რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი რეფორმის პროცესში მოსახლეობისადმი მიწოდებული მომსახურების გასაუმჯობესებლად არ იცის მოსახლეობის მესამედმა.
- ადგილობრივი მომსახურების მისაღებად ელექტრონულ სერვისებს არ იყენებს ათიდან ოთხი, მოსახლე. მიზეზი - არა ინფორმირება და ხელ მიუწვდომლობა.
- ადგილობრივ ექსპერტებს აქვთ ინფორმაცია საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ თუმცა, თვლიან, რომ რეფორმა არა მხოლოდ ხელისუფლების სურვილია, არამედ ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებაცაა.

- ის, რომ რეფორმა ნელი ნაბიჯებით მიდის წინ ამის მიზეზია, ის რომ მუნიციპალიტეტებს არა აქვთ რეფორმის კონკრეტული სტრატეგია და განხორციელების გეგმა. ან, რეფორმა არ არის ასახული არსებულ მუნიციპალურ სტრატეგიაში.

### 3.2. ეფექტიანობა

- მოსახლეობის ნახევრისთვის თვითმმართველობის უწყებებისთვის სერვისების მისაღებად ელექტრონული ფორმით მიმართვის ეფექტურობა სრულიად უცნობია და 2/3 საერთოდ არ სარგებლობს ამ სერვისით.
- უმთავრესი მოთხოვნა არის სოციალური / ფულადი დახმარება და წყლის მიწოდება
- მერის, საკრებულოს და წარმომადგენლის სერვისით ნახევარზე ოდნავ მეტი მოსახლეობა არ არის უკმაყოფილო.
- თვითმმართველობის მიერ კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე ყოველი მეხუთე უკმაყოფილოა.
- მუნიციპალიტეტს აქვს პროგრამები, თუმცა ამის შესახებ მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული და თვლის რომ ძირითადად ზოგადად მოსახლეობის პრობლემებია გათვალისწინებული. თუმცა, ნაწილის აზრითა ასევე უპირატესად გათვალისწინებულია შშმ და სხვა ჯგუფების საჭიროებები.
- ნახევარი თვლის, რომ მუნიციპალიტეტი ინფორმაციას მის საქმიანობაზე / სერვისებზე აწვდის მხოლოდ ნაწილობრივ.

### 3.3. ინკლუზიურობა

- საჯარო მოხელეები უმეტეს წილად ვერ აცნობიერებენ მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობას. მათ არ მიაჩნიათ, რომ ეს მნიშვნელოვანია.
- მოსახლეობა ძირითადად არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უმეტესობას მცდელობაც კი არ ქონია ჩართულიყო პროცესში.
- მესამედზე ოდნავ მეტმა მიაწოდა შენიშვნები უბნის შეხვედრების დროს თვითმმართველობას.
- მთავარი საჭიროება თვითმმართველობასთან კონსტრუქციული დიალოგის და მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად არის მათი წარმომადგენლის პერიოდული შეხვედრები და პროგრამების შემუშავებასა და ბიუჯეტირებაში ჩართულობა.
- ადგილობრივი პრიორიტეტების განხილვაში მოქალაქეები მეტ ნაკლებად ჩართულები არიან. ეს განპირობებულია იმით, რომ თვითმმართველობას კანონით აქვს დავალებული სოფლის პროგრამის განხილვაში მოსახლეობის ჩართვა.
- ლანჩხუთში მუშაობს რამდენიმე აქტიური სამოქალაქო ორგანიზაცია. მათ აქვთ მუდმივი და ეფექტური თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

## 4. შემუშავებული რეკომენდაციები:



#### 4.1. გამჭვირვალობა

- უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს კომუნიკაციის სტრატეგია, რათა მოსახლეობა სრულად იყოს ინფორმირებული საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ. კომუნიკაციის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია უნდა გახდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მუნიციპალური სერვისების ელექტრონულად მიწოდების ეფექტურობის აღქმაში. მუნიციპალიტეტმა სტრატეგიის შემუშავების პროცესში, როგორც დაინტერესებული მხარეები უნდა ჩართოს არასამთავრობო სექტორი და მედია საშუალებები
- რადგან მოსახლეობა თვლის, რომ უმთავრესად ინფორმაციას ღებულობს არასამთავრობო სექტორისგან, უნდა გაძლიერდეს მისი, როგორც კომუნიკატორის როლი ამ პროცესში კონკრეტული პროექტების მეშვეობით, რომელსაც დააფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი მეტი გამჭვირვალობის მისაღწევად.
- ინფორმაციის გავრცელების ძირითად წყაროებს მუნიციპალიტეტის მიერ უნდა დაემატოს ბეჭდვითი მედია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებაში.
- მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელი უნდა გახდეს ისეთი ონლაინ სერვისების აქტივაცია, როგორცაა მშენებლობის ნებართვა, სასოფლო და არასასოფლო მიწის რეგისტრაცია, ერთჯერად დახმარებებზე და სხვა მუნიციპალურ სერვისებზე რეგისტრირება. ეს არა მარტო გამჭვირვალებას, არამედ სერვისის რეალურ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.
- უნდა გამარტივდეს ინფორმაციის მოძიების, შეკითხვების დასმისა და უკუკავშირის ელექტრონულად წარმოება. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, თუნდაც ვიდეო ფაილების მეშვეობით აიმაღლონ ინფორმაციის მოპოვების უნარები და ცოდნა. უნდა გაიზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი ინფორმაციის არსებულ წყაროებზე. ეს საქმიანობა მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს სფეროს კვალიფიციურ ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.
- გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტში 54 დასახლებაა, რომელთა 60%-ს ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისად ხელი არ მიუწვდება ონლაინ სერვისებზე, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ განახორციელოს ადვოკატირება შესაბამის სტრუქტურებთან სოფლებში ინტერნეტ სერვისების მიწოდების მიმართულებით.

#### 4.2. ეფექტიანობა

- სერვისების ელექტრონული ფორმით გაცემის ეფექტურობის გასაზრდელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავდეს სრული ინფორმირების განხორციელების კონკრეტული გეგმა და ამავდროულად ელ. მთავრობის მარტივი და ადვილად გასაგები პროგრამული უზრუნველყოფა.
- მნიშვნელოვანია შეიქმნას მუნიციპალიტეტის არსებული სოციალური პროგრამების საჯაროობის და დაშვებადობის ელექტრონული მხარდაჭერა.

- მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს მოსახლეობის საჭიროებათა კვლევას, გარდა კანონით განსაზღვრული ვალდებულებისა, მოახდინოს პრობლემათა იდენტიფიცირება სოფლის მხარდამჭერი პროგრამების ფარგლებში.
- მნიშვნელოვანია შეიქმნას ელექტრონული ონლაინ პლატფორმა, სადაც გამოქვეყნდება ანგარიშები და შესაძლებელი იქნება ეფექტური უკუკავშირის წარმოება მოსახლეობასთან.
- სავალდებულო უნდა გახდეს დასახლების საერთო კრებების რეგისტრაცია ყველა სოფელში. ეს ხარისხობრივად გაზრდის ანგარიშვალდებულებას და მონაწილეობას.

### 4.3. ინკლუზიურობა

- აუცილებელია მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ შეიმუშაოს მოსახლეობასთან შეხვედრების მკაცრად გაწერილი და შესრულებადი გრაფიკი, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც მოსახლეობის წარმომადგენლების ჩართულობაზე, ასევე ხელისუფლების ანგარიშგებაზე პერმანენტულად და კონკრეტულ დასახლებაში.
- მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობისა და მოსალოდნელი შედეგების გააზრებისთვის და უნარ - ჩვევების მისაღებად, უნდა განხორციელდეს საჯარო მოხელეების ტრენინგი ისეთ თემებზე, როგორცაა „კომუნიკაცია, ფასილიტაცია და პრეზენტაცია“, „მონაწილეობითი პროგრამები და ბიუჯეტირება“, „შეხვედრების ორგანიზება და ონლაინ კომუნიკაციის მეთოდები“.
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მიერ ამოქმედდეს დასახლების საერთო კრებები. ეს კარდინალურად გაზრდის როგორც მოსახლეობის ჩართულობას, ასევე საჯარო სტრუქტურების ანგარიშვალდებულებას.
- უნდა შემუშავდეს მოსახლეობისთვის ონლაინ სერვისების გაწევის პლატფორმები და შესაძლებლობები.
- ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გააგრძელონ მოსახლეობის ადვოკატირების პროექტები ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან.
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბიუჯეტის დაგეგმვისას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და სოციალურ პროგრამებს.

## 5. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT-ანალიზი)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• რეფორმის განმახორციელებელი გუნდი ცნობადია და აქვს სანდოობის კარგი ხარისხი</li> <li>• მუნიციპალიტეტს აქვს ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმაციის ფუნქციონირებადი წყაროები მუნიციპალური ვებ და სოციალური ქსელი</li> <li>• მუნიციპალიტეტს ჰყავს მოტივირებული და განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო მოხელეები</li> <li>• მუნიციპალიტეტი მზადაა განახორციელოს საჯარო მმართველობის რეფორმა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტს არ აქვს რეფორმის კონკრეტული სტრატეგია და განხორციელების გეგმა.</li> <li>• მუნიციპალიტეტს არ აქვს გაწეული სერვისების მოსახლეობისთვის მიწოდების კომუნიკაციის სტრატეგია</li> <li>• ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების არასაკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები კომუნიკაციის, ფასილიტაციისა და პრეზენტაციის, საჯარო მმართველობის რეფორმის, მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხებში</li> <li>• არ არსებობს არსებული სოციალური, ინფრასტრუქტურული გენდერული, ახალგაზრდული პროგრამების საჯაროობის და დაშვებადობის ელექტრონული მხარდაჭერა.</li> </ul>

შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ცენტრალური ხელისუფლების მზაობა მხარი დაუჭიროს ადგილებზე საჯარო მმართველობის რეფორმას</li> <li>• არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების მხარდაჭერა</li> <li>• მუნიციპალიტეტში მუშაობს ძალიან აქტიური სამოქალაქო ორგანიზაციები</li> <li>• ბეჭდვითი მედიის ფართო სპექტრი ლანჩხუთში</li> <li>• ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობით გამოწვეული მოსალოდნელი პროგრესი</li> <li>• შესაძლო დონორების არსებობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კოვიდ 19 პანდემია</li> <li>• მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენა არა აქვს საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ</li> <li>• მონაწილეობის პროცესისადმი მოსახლეობის ნიჰილისტური განწყობა</li> <li>• მოსახლეობის 60%-ს ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისად ხელი არ მიუწვდება ონლაინ სერვისებზე</li> <li>• მოსახლეობის დიდი ნაწილის არასაკმარისი ცოდნა ელემენტარულ ციფრულ ტექნოლოგიებში</li> </ul>

## 6. პერსპექტიული ხედვა 2021 წლისთვის

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად ამაღლებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების, როგორც ასაკობრივი, გენდერული, ეროვნული ასევე ტერიტორიული მდებარეობის ნიშნით მონაწილეობის მაჩვენებელი. გაზრდილია თვითმმართველობის როგორც წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელი რგოლების გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა. მოქმედებს მუნიციპალური ელექტრონული სერვისების, მონაწილეობითი ბიუჯეტირების სისტემები. დასახლებული პუნქტების 70%-ს შესაძლებლობა აქვთ სახლიდან გაუსვლელად მიიღონ საჭირო ინფორმაცია. მუნიციპალიტეტს ჩამოყალიბებული აქვს ელექტრონული სერვისების სტრატეგია და ზრუნავს მის განვითარებაზე.

## 7. სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები

### 7.1. სტრატეგიული მიმართულება - ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობის ხელშეწყობა

- 7.1.1. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მუნიციპალური სერვისების ელექტრონულად მიწოდების ეფექტურობის აღქმაში.
- 7.1.2. არასამთავრობო სექტორთან და მასმედიის საშუალებებთან ერთად ერთობლივი პროგრამების განხორციელება ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობისა და სანდოობის გასასაზრდელად.
- 7.1.3. ელექტრონული სერვისების მრავალფეროვნებისა და მიღწევადობის უზრუნველყოფა.
- 7.1.4. სასოფლო დასახლებათა მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის ლობირება

### 7.2. სტრატეგიული მიმართულება - ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა

- 7.2.1. სოციალური პროგრამების საჯაროობის და დაშვებადობის ელექტრონული მხარდაჭერა.
- 7.2.2. კერძო და საჯარო თანამშრომლობის გაძლიერება ელექტრონული სერვისების მიმართულებით.
- 7.2.3. მოსახლეობის საჯიროებათა კვლების ავტომატიზირება და პერმანენტული წარმოება
- 7.2.4. საჯარო მოხელეთა გადამზადების სტრატეგიის ფორმირება

### 7.3. სტრატეგიული მიმართულება - ადგილობრივი მმართველობის ინკლუზიურობის გაზრდა

- 7.3.1. მერიისა და საკრებულოს შენობების ადაპტირება შესაბამისი პირობებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და საბავშვო ეტლიანი დედების გადაადგილებისთვის.
- 7.3.2. თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირების მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ანგარიშგების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება
- 7.3.3. საჯარო მოხელეების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებში
- 7.3.4. მონაწილეობითი სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვა
- 7.3.5. დასახლების საერთო კრებების ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტის ინიციატივით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის განხორციელების გეგმა ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020 წლის აგვისტო - 2021 წლის სექტემბერი

მიზანი 1: ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობის ხელშეწყობა

	კონკრეტული ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	ვადები	მონიტორინგი
1.	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მუნიციპალური სერვისების ელექტრონულად მიწოდების ეფექტურობის აღქმაში.	სტატიები და რეკლამები ადგილობრივ მედიაში - სტატიები და რეკლამები სოციალურ ქსელებში - რიფლეთების შემუშავება და დარიგება მოსახლეობაში	- ელექტრონულ სერვისების მომხმარებელთა რაოდენობა გაზრდილია სულ მცირე 50%-ით	- საკრებულოს აპარატი -მერიის საორგანიზაციო სამსახური	2020 წლის აგვისტო -2020 წლის დეკემბერი	სამ თვეში ერთხელ
2.	არასამთავრობო სექტორთან და მასმედიის საშუალებებთან ერთად ერთობლივი პროგრამების განხორციელება ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობისა და სანდოობის გასაზრდელად.	- საგრანტო პროგრამის შემუშავება - თანხის გამოყოფა ბიუჯეტიდან მცირე გრანტებისთვის - გამარჯვებული მედია და სსო შერჩევა - პროექტების განხორციელების მონიტორინგი	- განხორციელებული პროექტების მიზნები და ამოცანები განმახორციელებელი ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით შესრულებულია 100%-ით	- მერიის საორგანიზაციო სამსახური, - მერიის ახალგაზრდული და სპორტის განყოფილება - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება	2020 წლის სექტემბერი-2021 წლის სექტემბერი-	ყოველთვიურად

3.	ელექტრონული სერვისების მრავალფეროვნებისა და მიღწევადობის უზრუნველყოფა.	<ul style="list-style-type: none"> <li>- სამუშაო ჯგუფის ფორმირება</li> <li>- ელ. სერვისების აუცილებელი ნუსხის შედგენა</li> <li>- ფუნქციონირებადი აპლიკაციების შემუშავების მოთხოვნათა შემუშავება</li> <li>- არსებული აპლიკაციების ხარისხის გაუმჯობესება და ახალი აპლიკაციების შექმნა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- არსებულ აპლიკაციებში ცვლილებათა რაოდენობა</li> <li>- ახლად შემუშავებული აპლიკაციების რაოდენობა</li> </ul>	საკრებულო მერია	სექტემბერი 2020 – სექტემბერი 2021	წელიწადში 2-ჯერ
4.	სასოფლო დასახლებათა მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის ლობირება	<ul style="list-style-type: none"> <li>- ინტერნეტით მოსარგებლეთა შესახებ რეალური ინფორმაციის მოგროვება, ანალიზი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი უწყებისთვის მიწოდება</li> <li>- პარლამენტის წევრის ჩართვა ლობირების პროცესში</li> </ul>	მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებების 15 ადმინისტრაციულ ერთეულში დაწყებულია სრული ინტერნეტიზაცია	მერია, საკრებულო	სექტემბერი 2020 – სექტემბერი 2021	წელიწადში 2-ჯერ

მიზანი 2: ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა

	კონკრეტული ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	ვადები	მონიტორინგი
1.	სოციალური პროგრამების საჯაროობის და დაშვებადობის ელექტრონული მხარდაჭერა.	- ტექნიკური მოთხოვნების შემუშავება - ტენდერის გამოცხადება და აპლიკაციის ფორმირება - ადმინისტრირება	- გამოკითხვების შედეგად დაფიქსირებულია სერვისით კმაყოფილების ზრდა 70%-ით	მერია, სსო-ბი	იანვარი 2021– მაისი 2021	ყოველთვიურად
2.	კერძო და საჯარო თანამშრომლობის გაძლიერება ელექტრონული სერვისების მიმართულებით.	- ტექნიკური მოთხოვნების შემუშავება მყარი ნაჩვენების მართვის, მშენებლობის ნებართვის და სხვა ელ. აპლიკაციებზე - ტენდერის გამოცხადება და აპლიკაციის ფორმირება - ადმინისტრირება	- გამოკითხვების შედეგად დაფიქსირებულია სერვისით კმაყოფილების ზრდა 70%-ით	მერია, სსო-ბი	იანვარი 2021– მაისი 2021	ყოველთვიურად



3.	მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის ავტომატიზირება და პერმანენტული წარმოება	- ვებგვერდის განახლებისას დაემატოს საჭიროებათა კვლების და მოქალაქეების ელექტრონული ჩაწერის ფუნქციები.	- საჭიროებათა კვლევაში მონაწილე პირთა რაოდენობა - გარკვეულ პირებთან შეხვედრაზე ჩაწერილ პირთა რაოდენობა	ადგილობრივი თვითმმართველობა სსო	2020 წლის სექტემბერი - დეკემბერი	2 თვეში ერთხელ
4.	საჯარო მოხელეთა გადამზადების სტრატეგიის ფორმირება	- სტრატეგიის სამუშაო ჯგუფის შექმნა - სტრატეგიის ფორმირება - სტრატეგიის დამტკიცება	მუნიციპალიტეტს აქვს საჯარო მოხელეთა გადამზადების საშუალო ვადიანი სტრატეგია	ადგილობრივი თვითმმართველობა სსო	2020 წლის აგვისტო-სექტემბერი	ერთხელ

მიზანი 3: ადგილობრივი მმართველობის ინკლუზიურობის გაზრდა

	კონკრეტული ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	ვადები	მონიტორინგი
1.	მერიისა და საკრებულოს შენობების ადაპტირება შესაბამისი პირობებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და საბავშვო ეტილიანი დედების გადაადგილებისთვის.	- შესაბამისი შენობების აღჭურვა პანდუსებით	- პანდუსებით აღჭურვილი სივრცეების რაოდენობის შეფარდება უპანდუსო სივრცესთან	მერია	სექტემბერი 2020 – სექტემბერი 2021	წელიწადში 2-ჯერ
2.	თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირების მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ანგარიშგების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება	- გრაფიკის შედგენა და შეთანხმება - გრაფიკის გამოქვეყნება ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში - შეხვედრების ორგანიზება	- მთარგმნელობითი მომსახურების უზრუნველსაყოფად დანიშნულ პირთა რაოდენობა - იმ პირთა რაოდენობა, ვისაც გაეწია მთარგმნელობითი მომსახურება	საკრებულოს წევრები, მერი, მერის მოადგილეები	აგვისტო 2020	კვარტალში ერთხელ

3.	საჯარო მოხელეების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებში	<ul style="list-style-type: none"> <li>- ტრენინგის მოდულის ფორმირება</li> <li>- მონაწილეთა სიის ფორმირება</li> <li>ტრენინგის ჩატარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- მონაწილეთა რაოდენობა</li> <li>- მონაწილეთა მიერ შეფასების ანკეტაში ტრენინგისადმი დადებითი გამოხმაურებების რაოდენობა</li> </ul>	ადგილობრივი თვითმმართველობა, სსო-ბი	სექტემბერი 2020 –	წელიწადში 2-ჯერ
4.	მონაწილეობითი სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვა	<ul style="list-style-type: none"> <li>- სამოქალაქო ბიუჯეტირების სამოქმედო გეგმის და დოკუმენტაციის ფორმირება</li> <li>- თანხის გამოყოფა</li> <li>- ბიუჯეტირების აპლიკაციის მომზადება</li> <li>- სამოქალაქო ბიუჯეტირების ჩატარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- გამოყოფილი თანხის რაოდენობა</li> <li>სამოქალაქო ბიუჯეტირებისთვის</li> <li>- ხმის მიმცემთა საერთო რაოდენობა</li> <li>- დაფინანსებული პროექტების რაოდენობა</li> </ul>	მერიის საორგანიზაციო, ზედამხედველობის და ინფრასტრუქტურის სამსახურები	ნოემბერი 2020 - მარტი 2021	კვარტალში ერთხელ
5.	დასახლების საერთო კრებების ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტის ინიციატივით.	დასახლებების შერჩევა ჩამოყალიბებული კრიტერიუმების მიხედვით კრებების ინიცირება და „პრ“ კამპანია კრებების ჩატარება	<ul style="list-style-type: none"> <li>- კრებების რაოდენობა</li> <li>- კრებებზე დამსწრეთა პროცენტული რაოდენობა</li> <li>- გადაჭრილი საკითხების რაოდენობა</li> </ul>	მერიის საორგანიზაციო სამსახური	სექტემბერი 2020 – სექტემბერი 2021	წელიწადში 2-ჯერ